



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

**აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა
და სპორტის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება
საარქივო სამმართველოს უფროსის
ზ რ ძ ა ნ ე ზ ა
ქ. ბათუმი**

N 14
07/11/2022

14--4-202211071330



**აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის
სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება - საარქივო სამმართველოს
სამკითხველო დარბაზში მკლევართა დაშვების დროებით შეწყვეტის შესახებ**

„მიწის ნაკვეთებზე უფლებათა სისტემური და სპორადული რეგისტრაციის წესისა და საკადასტრო მონაცემების სრულყოფის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ სისტემურ და სპორადულ რეგისტრაციასთან დაკავშირებით - საარქივო სამმართველოში მიმდინარეობს საარქივო საქმეთა ელექტრონულ ფორმატში გადატა (გაციფრვა), რის გამო მიმდინარეობს ერთდროულად რამდენიმე ფონდების რევიზია, გაუმჯობესება და რესტავრაცია. არსებული მდგომარეობის გამო, ვერ ხერხდება საარქივო სამმართველოს სამკითხველო დარბაზში მკლევართათვის საარქივო საქმეთა დროული მოწოდება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საარქივო დოკუმენტების გაბნევისა და დაზიანების საშიშროების თავიდან აცილების, მათი დაცვის და შენახვის მიზნით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2018 წლის 28 დეკემბრის N18 დადგენილებით დამტკიცებული აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება - საარქივო სამმართველოს დებულების მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტის და საარქივო სამმართველო უფროსის მოადგილის მ/წლის 07 ნოემბრის #01-19/849 მოხსენებითი ბარათის შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ზ ა:

1. „მიწის ნაკვეთებზე უფლებათა სისტემური და სპორადული რეგისტრაციის წესისა და საკადასტრო მონაცემების სრულყოფის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ სისტემურ და სპორადულ რეგისტრაციასთან დაკავშირებით - საარქივო სამმართველოში დროებით შეწყდეს საარქივო სამმართველოს საზღვარგარეთთან, საზოგადოებასთან, მასმედიასთან ურთიერთობის,

დოკუმენტების გამოყენების და პუბლიკაციის სამსახურში (სამკითხველო დარბაზში) მკლევართა მიღება.

2. საარქივო სამმართველოს საზღვარგარეთთან, საზოგადოებასთან, მასმედიასთან ურთიერთობის, დოკუმენტების გამოყენების და პუბლიკაციის სამსახურმა (მ.სურმანიძე) უზრუნველყოს სამკითხველო დარბაზში მომუშავე მკლევართა გაფრთხილება აღნიშნულის თაობაზე.

3. აღნიშნული ბრძანება განთავსდეს საჯარო გაცნობისათვის საარქივო სამმართველოს ადმინისტრაციული შენობის შესასვლელში.

4. აღნიშნული ბრძანებით მუშაობაში იხელმძღვანელოს საარქივო სამმართველოს საზღვარგარეთთან, საზოგადოებასთან, მასმედიასთან ურთიერთობის, დოკუმენტების გამოყენების და პუბლიკაციის სამსახურმა და საქმისწარმოების სამსახურმა.

5. ბრძანების შესაბამის პირებისადმი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობა უზრუნველყოს სამმართველოს საარქივო სამმართველოს საქმისწარმოების სამსახურმა.

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროში (მის. ქ. ბათუმი, ლადო გუდიაშვილის ქ. N4), კანონმდებლობით დადგენილი წესით, გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

7. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

მაია ივანიშვილი

სამმართველოს უფროსი
ხელმძღვანელობა